ოთხშაბათი, ივნისის 4 1919 წ.

ფასი 1 მანეთი.

№ 104.

ყოველდღიური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

**რედაქცია**

**ხელნაწერი მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი;** ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

„ჩვენი ქვეყანა"-ს რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ შემოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

გულ დათუთქულნი დედა მამა ნადეჟდა ნესტორის ასული და ივანე გლახუას ძე ცანავა. ძმა და მეუღლე გიგო გლახუას ძე და ანა იესეს ასული ცანავა. დები: სონა და თინა, მაზლიშვილები: ლუბა, ლელ, რაჟდენი, ლავრენტი და ამბაკო ცანავები. დეიდები: მინადორა, ოლღა და ლიდა ჯიჯაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას

## ლევან ივანეს ძის ცანავას

დაკრძალვა მოხდება ოლასკურის სასაფლაოზე ამა ივნისის 5-ს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის ხუთ საათზე, ძველი ხონის ქუჩაზე, სახლიდან პანაშვიდი ყოველ დღე სა. 6 საათ. 2—1

გადასვლის გამო ლიკვიდაცია ხდება ყველა დარჩენილი საგალანტერეიო ხელით ნაკეთები საქონლისა.

მამაკაცის პერანგები, ვარატნიკები, გალსტუკები და ტყავის სანდლები ყველა ზომისა, მაღაზიის მოწყობილობა რომელიც შესდგება „პოლკებიდან" დახლებიდან და შკაფებიდან. მისამართი: ქარვასლის ქუჩა მაღაზია „უნივერსალი" ძმ. ჩილინგაროვების სახლი ვაჟთა გიმნაზიის პირდაპირ. 6—5.

ქუთ. მ. დუნდუას ასულის საქალო ქართული გიმნაზია პროფესიონალური განყოფილებით

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება მაისის 27—დან დაიწყება. მომავალი სამოსწავლო წლისთვის გაიხსნება მორიგი

## მეექვსე კლასი.

ვაკანსია ყველა კლასებშია. აქვე არის გახსნილი საზაფხულო კურსები, სადაც შეისწავლიან სუფთა ხელ საქმარს და ფეხსაცმელების კერვას, თხოვნები მიიღება დილის 9—2 საათამდე.

**მისამართი:** ბალახვანის ქ., ყოფილი სახაზინო პალატის პირდაპირ. 6—5

**ექიმი** მედიცინისა საზღვარ გარეთელი უნივერსიტეტ. **ფ. ი. კაკიტელაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს ქალთა, საშარდის (ტრიპერი, სიფილისი. ექიმობა 606 და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა. საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**ექიმი** **ბიქტორ ნიკიფორეს ძე ხუსკივაძე** ღებულობს ავათმყოფებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი. 24—16

**კბილის ექიმი ნ. ა. მხეიძე** ღებულობს ავადმყოფებს დილით 9—3 საათამდე. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის სახლი. 24—12

## საქართველო-აზერბეიჯანის კავშირი და დენიკინი.

საქართველო-აზერბეიჯანის სამხედრო კავშირი — ორივე მხარისათვის აუცილებელია.

კავშირის მიზანი — დენიკინთან ბრძოლაა.

დენიკინი — საშინელი საფრთხეა, რომელიც საქართველო-აზერბეიჯანს დედამიწის პირიდან აღგვას და საუკუნო დამონებას უქადის.

ზოგიერთს გულუბრყვილოს ჰგონია: დენიკინი პურსა და ფართალს მოგვიტანსო.

მაგრამ რად გვინდა ან პური ან ფართალი, თუ მონებად შევიქნებით? არ გვირჩევნია მჭადი ვჭამოთ და შინაური სამოსელი ჩავიცვათ, ოღონდ თავისუფლება და დამოუკიდებლობა შევინარჩუნოთ?!

ნამდვილად კი დენიკინს თვითონ აკლია პურიცა და ფართალიც და არა თუ არაფერს მოგვიტანს, არამედ სიმინდს მატყლს, ბამბას, ღვინოს წაგვართმევს, დაგვამშევს და გაგვაშიშვლებს.

არავინ იფიქროს, ვითომ დენიკინი რუსეთის წარმომადგენელია, მისი ჯარი რუსეთიდან გაძევებულისა და დამშეული შავრაზმელებისაგან შესდგება, რომელნიც ჩჩვილ ბავშვებსა და დედაკაცებსაც კი არ ინდობენ. უეჭველია, თუ მოგვერივნენ, ჩვენს ქვეყანას ჩვენი შვილების სისხლით შეღებავენ.

მაშ, ქართველებო, გაახილეთ თვალი, გაიღვიძეთ ღრმა ძილისაგან და იცანით მტერი! საქართველოს ჯერ დენიკინისთანა საფრთხე არ მოვლენია. ვიყოთ თუ არ ვიყოთ? აი რა საკითხი დგას დღეს ჩვენს წინაშე.

გინდათ იცოცხლოთ?! გიყვარსთ სამშობლო?! მაშ შეკრბით, შეერთდით და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეებრძოლეთ მტერს.

დენიკინმა დარუბანდი აიღო და ეკვე აზერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვარი გადმოლახა. და, ბაქო თუ დაიპყრო, აღარც მაზუტი გვექნება, აღარც ნავთი, აღარც გზა აზერბეიჯან-სპარსეთისკენ. და განსაცდელში ჩავარდებით.

დიაღ! ბაქო თუ მტერმა აიღო, თფილისის დაცვა გაგვიჭირდება.

ამიტომ არის აუცილებელი საქართველო-აზერბეიჯანის სამხედრო კავშირი".

მეორე მხრით დენიკინს არც ისე დიდი ძალა ჰყავს, თავი ვერ დავიცვათ. მის ჯარისკაცებს — არავითარი მაღალი და კეთილშობილი იდეა არ უდგამს სულს. მხოლოდ დამარბეველნი, ბარბაროსები, წმინდა წყლის ავანტიურისტები არიან. მაშასადამე გმირული თავდადება, რომელსაც შობს სამშობლოს სიყვარული, აკლიათ.

არც რაოდენობის მხრით არიან საშიშარნი.

უნდა ვიცოდეთ, რამდენიმე ათიათასი კაცისაგან საქართველო-აზერბეიჯანში ერთს ათიათასსაც ვერ გამოგზავნიან, რადგან, სადაც კი ფეხი მოიდგეს, მტრებისაგან გარშემორტყმული არიან.

იმავე დროს მამაცი მთიელნი დენიკინის ჯარმა კი არა, მხოლოდ საკუთარი მთავრობის ღალატმა დაამარცხა. და მთიელთ იარაღი კი არ დაუყრიათ, პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებენ და ზურგიდან ემუქრებიან მტერს. და, ამას თუ კიდევ იმ საფრთხეს დავუმატებთ, რომელსაც ბოლშევიკები უმზადებენ, დავრწმუნდებით, რომ დენიკინს დიდი ხნის ბრძოლის თავი არ აქვს. თუ მალე ვერ გაიმარჯვებს, განადგურდება ყოველი მხრიდან შემოსეული მტრისაგან.

ამგვარად ჩვენი გამარჯვება ჩვენს მონდომაზე ჰკიდია!

მაშ, ქართველებო! ერთხელ კიდევ უჩვენეთ ქვეყანას თქვენი სიმამაცე!

იცოდეთ, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება!

**ვასილ წერეთელი.**

## ინგლისური პრესის ცნობები.

(საქ. დეპ. სააგენტო)

მოკავშირეთა ზოგიერთი დელეგატი იმ აზრისაა, რომ გერმანიას უნდა დაუთმონ ზოგიერთ საკითხებში. ამ დღეებში გერმანელთა საპასუხო წინადადებაში გადაცემული მოთხოვნილებანი საერთოდ ასეთია: გერმანიამ 25 მილიარდი უნდა გადაიხადოს ზარალის ასანაზღაურებლად. აქედან 5 მილიარდი 1926 წლამდე, დანარჩენი შემდეგ. გერმანია მოითხოვს, რომ სილეზიაში პლებისციტი დაინიშნოს და გერმანია დაუყოვნებლივ მიიღონ ხალხთა ლიგაში. დანარჩენ ნაწილში განმეორებულია ის, რაც უკვე იყო გამოქვეყნებული. ბევრი დელეგატი ფიქრობს, რომ გერმანია უნდა დაუშვან ხალხთა ლიგაში, რადგან ზავი და სიმშვიდე მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი. ამას მკაცრად ეწინააღმდეგებიან საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწენიც, რომელნიც იმ აზრის არიან, რომ, თუ გერმანიას ხალხთა ლიგაში დაუშვებენ, ამის გამო ბევრი მთავრობა, რომელთაც დელეგატები ყავთ გამოგზავნილი, გადადგებიან. მოელიან, რომ გალიციაში პლებისციტის დანიშვნის წინააღმდეგი არაფერი ექნებათ, თუ კი მხედველობაში მიიღებენ ხალხთა თვით გამორკვევის პრინციპს. არსებობს შეხედულობა, რომ ზარალის ასანაზღაურებლად გერმანიის მიერ 25 მილიარდის გადახდა სამართლიანი იქნება. ამერიკის და ინგლისის ზოგიერთმა ექსპერტმა ეს ჯერ კონფერენციის მუშაობის დაწყებისთანავე აღნიშნა, ამ საკითხში ალბათ მნიშვნელოვან დათმობას ადგილი არ ექნება. გერმანიის საპასუხო წინადადებანი საფრანგეთის საზოგადოებაში თანაგრძნობას არ პოულობს.

გერმანელებისათვის გადასაცემ პასუხს კონფერენცია ერთ კვირაზე ადრე ვერ დაამთავრებს.

ავსტრიელებისათვის ხელშეკრულების გადაცემა ორშაბათისთვის გადიდო.

ბერლინიდან მოსული ოფიციალური ცნობები იუწყება, რომ მოკავშირეთა წრეებმა უკვე დასთმეს წინანდელი გეგმა, რომ მტკიცედ დაეცვათ თავისი პირვანდელი გადაწყვეტილებანი. გერმანიის დიპლომატია სცდილობს გამოიყენოს რეაქციონერების მუშაობა. თითქოს სოციალისტებმა და ლიბერალებმა ამ უკანასკნელ ხანს გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ ეს ჯერ გამოურკვეველია. ვილსონი თანახმაა, რომ ზოგიერთი მუხლი გადასინჯული იქნეს, ლიბერალების მის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიის შემდეგ ისიც მოტყდა. ფიქრობენ, რომ გერმანიის საპასუხო წინადადებებს დიდი დრო დასჭირდება და ალბათ უთანხმოებას გამოიწვევს ოთხთა საბჭოში თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ვილსონ ივნისის 15—20-მდე ვერ წავა, მაგრამ მაინც გერმანიის წინადადებები ახალ მოლაპარაკებას გამოიწვევს. ამერიკა და ინგლისი თა-

ნახმაა გერმანია ხალხთა ლიგის წევრად დაუშვან, მაგრამ საფრანგეთი გადაჭრით უარს აცხადებს. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ საპასუხო წინადადებათა თარგმანის დამთავრებამდე ალბად შეიტანენ ზოგიერთ ცვლილებებს ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებში. იწყება კონფერენციისთვის მეტად საშიშო ხანა. შეუძლებელია იმის გამოცნობა, თუ რა ცვლილებები მოხდება მომავალ კვირაში.

## ფრანგული პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგ.

პრეზიდენტმა ვილსონმა ხუთშაბათს დილით მიიღო ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობის დელეგაცია, ჩერმოევის მეთაურობით და აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაიდარ ბამატოვი და ადერბეიჯანის რესპუბლიკის თოფჩიბაშევი. ყველანი ვილსონს მიესალმენ და წარადგინეს თავისი მოთხოვნილებანი.

სალონიკიდან მოვიდა საბერძნეთის მთავარ შტაბის ოფიციალური ცნობა, რომ საბერძნეთის ჯარი აიდინაში და უპრკოლებლივ შევიდა.

გაზეთების ცნობით ადრიატიკის საკითხის შესახებ პრინციპიალური შეთანხმება მოხდა: 15 წლის განმავლობაში ფიუმე თავისუფალი ქალაქი იქნება, ნავთ სადგური ხალხთა ლიგის გამგეობის ქვეშ იქნება და შემდეგ პლებისციტით გამოარკვევენ, თუ ვის უნდა ეკუთნოდეს ქალაქი. იტალია ხელს აიღებს დალმაციაზე, გარდა ზოგიერთი კუნძულებისა და აგრეთვე ზარასა და ზენიკოსი.

## უკანასკნელი ცნობები.

კვირას, დამფუძნებელი კრების სხდომაზე მოხსენება გააკეთეს საგარეო და სამხედრო მინისტრებმა: ბ. ე. გეგეჭკორმა და ბ-მა ნ. რამიშვილმა.

მათ განაცხადეს, რომ საქართველო და ადერბეიჯანი ერთად შეებრძოლებიან დენიკინსო.

— ადერბეიჯანის დასახმარებლად გაგზავნილია ბაქოსკენ ქართული ჯარი.

— სომხეთის პოზიციის შესახებ არც ერთმა მინისტრმა არაფერი არ სთქვა, თუმცა შეეკითხენ.

— ბათუმში ინგლისელები გუბერნატორად ნამყოფ გენ. რომანოვსკის ნიშნავენ.

— სოჭის ფრონტზე დენიკინი შემოტევას ამზადებს.

— საქართველოში საყოველთაო მობილიზაცია უნდა გამოცხადდეს.

საქართველოს ჯარებს ბრძანება მიუღიათ არდაგანიდან წამოსვლისა; მთელი არდაგანის ოლქი გადავიდა სომხეთის ადმინისტრაციის ხელში.

— ქართული ლეგიონის სამი ასეული გორის მაზრაში, ოსებით დასახლებულ ალაგებში გაიგზავნა.

— კახეთის სახელმწიფო (ყოფილ საუფლის წულო) მამულებში გაფიცვა აწარმოებს; როგორც ამბობენ, ამ ნიადაგზე დიდი უსიამოვნობა მოხდარა მიწათ მოქმედების მინისტრის ბ. ნ. ხომერიკისა და გაფიცულ მუშების შორის, რომელთაც ახალი მუშების ჩამოყვანით დამუქრებიან.

## დამფუძნებელი კრების რეზოლუცია თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

1 ივლისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საგანგებო სხდომაზე მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:—

მოისმინა რა დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის მოხსენება დენიკინის შემოსევის შესახებ, იგი აცხადებს, ეს გამოწვეულია ძველი რუსეთის მოტრფიალე იმპერიალისტთა ზრახვებით, წვრილი ერების დამონება და დემოკრატიის განადგურება.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია ღირსეულად შეხვდება მტერს და დაიცავს საქართველოს რესპუბლიკის ღირსებას და ხელშეუხებლობას.

დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მთელ ერს შემოკრბეს მთავრობის გარშემო, ზურგი გაუმაგროს ლაშქარს როგორც მეომართა მიცემით ისე ქონებრივ მსხვერპლის გაღებით და მორალური დახმარებით.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და მათი დემოკრატია, ხელიხელ ჩაკიდებულნი იბრძოლებენ საერთო საფრხის წინაშე და თავიანთ თავისუფლებას დაიცავენ.

დამფუძნებელი კრება რწმენას გამოსთქვამს, რომ ევროპის სახელმწიფოები და განსაკუთრებით მუშათა დემოკრატია ხმას აღიმაღლებენ ჩვენი ერისა და დემოკრატიის დასაცავად.

დამფუძნებელი კრება მიმართავს პარიზის კონფერენციას და ევროპის ყველა პარლამენტს პროტესტით დენიკინის შეიარაღებისა და მისი შემოსევისათვის პატარა ერთა გასანადგურებლათა და დასამორჩილებლად.

## ჩერქეზების აჯანყება მოხალისეთა წინააღმდეგ

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლის (საქართველოში) ცნობით, მოხალისეთა ჯარს ჩერქეზები აჯანყებია. აჯანყებულებს ხასან-კიურტეს მთელი რაზმისათვის ყელები დაუჭრიათ.

მათ დასამშვიდებლად პეტროვსკიდან გაუგზავნიათ მოხალისეთა ჯარის ნაწილი არტილერიით,

## ჩრდილ. კავკას. და აზერბეიჯ. დელ. ვილსონთან

პრეზიდენტმა ვილსონმა ხუთშაბათს დილით მიღო ჩრდილო კავკასიის დელეგაცია რომელსაც მეთაურობდა ჩერმოევი—მიიღო აგრეთვე აზერბაიჯანის წარმომადგენელი ჰოდარ ბამატოვი, ჩრდილო კავკასიის გარეშე საქმეთ მინისტრი, თოფჩიბაშევი აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარე. დელეგატებმა წარუდგინეს თვისი მოთხოვნილებანი.

## მთავრობაში

27 მაისის სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ბ.-ნი ნ. ჟორდანია, მინისტრები: ბბ. ხომერიკი, ჭანდელაკი, რამიშვილი. მინისტრთა ამხანაგები ბ. ბ.: ცინცაძე, ერაძე, ჰეჭინაძე, გედევანიშვილი, გელეიშვილი, საბახტარაშვილი, დეპარტამენტის დირექტორები: ბბ. ჰეჭინაძე, ჰანტურიშვილი, აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე ბ. ემუხვარი, საქმეთა მართველი კ. ჯაფარიძე [illegible] თაძე.

უარი სასჯელის შეცვლაზე. უყურადღებოდ იქმნას დატოვებული შუამდგომლობა იაკობ მიხეილის ძე და ვასილ ზაქარიას ძე ნაცვლიშვილების, თფილისის საგანგებო სასამართლოს 1919 წ. მაისის 19-ის დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ.

**ეროვნულ მამულების მუშებს.** უფლება მიეცეს მიწათ მოქმედების სამინისტროს ეროვნულ მამულების შემოსავლიდან მისცეს წინანდლის, ნაფარეულის და მუკუზანის და სხვათა მამულებში თვიურ მუშებს, გაფიცვის გამო მომხდარ თათბირის დადგენილების თანახმათ სამინისტროს მიერ და ნაპირები მომატება (50% ძირითად ჯამაგირებზე) პირველ იანვრიდან,

**სატარიფო პალატის დაარსება.** დაარსებულ იქნას შრომის უწყებასთან სატარიფო პალატა შრომის, ხელ-ფასის საკითხის მოსაწესრიგებლათ ნება მიეცეს შრომის სამინისტროს გამოიყენოს შრომის უწყების შესანახ ხარჯთ აღრიცხვიდან, ეკონომიით დარჩენილი თანხები სატარიფო პალატის მოსაწყობ ხარჯების დასაფარავათ.

**ტანთ-ვარჯიშობისათვის თანხა.** გადაიდოს განათლების სამინისტროს განკარგულებაში 5000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან რესპუბლიკის სკოლებში ტანთვარჯიშობის საქმის გეგმის შესადგენ ხარჯების დასაფარავათ.

**კანონ-პროექტი მასწავლებელთა კურსების შესახებ.** წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით თვითეულ მსმენელის თვიურ ხარჯათ ნავარაუდევი 400 მან. შემცირებულ იქმნას 200 მანეთამდე. ხარჯთაღრიცხვის ამ მუხლით ნავარაუდევ თანხის მეორე ნახევარი (200 მან. $\times$ 250 $\times$ 2 = 100000 მან. დაეკისროს ერობებს) ასეთი შესწორებით კანონ-პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

## სამხედრო გემის „ტარიელის" ზღვაში ჩაშვება.

სამხედრო-სამინისტროს გენერალურ შტაბის განყოფილებამ ფოთიდან კაპიტან

## საგარეო საქმეთა მინისტრის გეგეჭკორის განცხადება დამფუძნებელ კრებაზე.

მოქალაქენო, დენიკინის შავი ლაშქარი ჩვენ ქვეყანას ემუქრება და მე მთავრობის დავალებით მინდა გაგაცნოთ თქვენ ფაქტიური მდგომარეობა ჩვენი რესპუბლიკისა. თქვენ იცით, რომ მოხალისეთა ჯარმა დაიკავა პეტროვსკი და დერბენტი. მთიელთა მთავრობამ და პარლამენტმა იარაღი დაჰყარა და ამნაირად თითქოს დღეს დღეობით დენიკინი მფარველია მთიელთა რესპუბლიკისა. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ მართლაც იქ მოხდა გამარჯვება დენიკინის ძალებისა. ის, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დღეებში მთაში ეს იყო შედეგი ღალატისა. გენ. ხალილოვმა გასცა თავის ქვეყანა და ზურგში თავის ხალხს ლახვარი ჩასცა ის მთავრობა რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ბედ-იღბალი მთისა მოღალატე გამოდგა და ჩვენ გვაქვს სრული რწმენა, რომ თავისუფლების მოტრფიალე მთა კიდევ შესძლებს თავისი ძალები შეკრიბოს და შესაფერი პასუხი გასცეს გენერალ დენიკინს (ტაში). დენიკინის შავი ლაშქარი ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვარს კიდეც მიადგა, როგორი მდგომარეობაა სოჭის ოლქში, იქ აშკარად სჩანს, რომ დენიკინის რაზმი მოქმედებას იწყობს და შესაძლებელია, რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ შევხვდეთ იარაღით (კვლის; ვინ ავანგარდობს)? იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას აქვს უტყუარი ცნობები, რომ მზადდება ჩვენს წინააღმდეგ კიდევ ახალი ფრონტი. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ბათუმში აპირებენ გენერალ-გუბერნატორად რომანოვსკის დანიშვნას და მას განკარგულებაში ექნება მცირე რაზმი მოხალისეთა ჯარისა. ასეთია მოქალაქენო, საერთო სურათი. აქედან აშკარათ დაინახავთ, რომ დენიკინი და რუსეთის რეაქცია ამიერ-კავკასიას და ჩვენ რესპუბლიკას რგოლივით გარს ერტყმის და მას დედამიწის ზურგიდან აღაგმვას უქადის მაგრამ, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ არავითარ შიშს ჩვენ შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სულმოკლეობას გამოიჩენს ის, ვინც ამ საპასუხმგებლო მომენტის დროს მისცემს თავის-თავს ნებას რომ პანიკა ან სხვა რამე ასეთი ჩვენ შორის გაავრცელოს, რადგანაც საქმის მდგომარეობა, ძალთა განწყობილება არავის არ აძლევს უფლებას სთქვას, რომ თუ ეს შეტაკება მოხდა, გამარჯვება ჩვენ არ დაგვრჩეს. ჩვენ გვაქვს სრული იმედი ვთქვათ, რომ ამ შეტაკებიდან ქართველი ხალხი, ჩვენი დემოკრატია, ჩვენი რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვა, (ტაში) თქვენ მოქალაქენო თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ჩვენ თავს არავის არ ვესხმოდით, ჩვენი პოლიტიკა, მისი შინაარსი განისაზღვრებოდა იმით, რომ ჩვენი ხალხი, ჩვენი ოჯახი, ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ერი ყოველნაირ თავდასხმისაგან, ყოველნაირ ხიფათისაგან გადაგვერჩინა. მაგრამ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენ უფლების გადალახვას, ჩვენი ხალხის და ერის მოსპობას, უნდა იცოდეს მან, რომ ჩვენში შეხვდება სასტიკ წინააღმდეგობას, ჩვენი ისტორიული ტრადიცია, ჩვენი დემოკრატიის განვლილი გზა გვაძლევს ჩვენ უფლებას თამამად ვთქვათ რომ ხალილოვის შავ ღალატს და ხალილოვის მოქმედებას აქ ადგილი არ ექნება (ტაში), ჩვენ რუსეთის საქმეებში არ ვერევოდით და ეს სადავო საკითხი, რომელიც ჩვენ შორის იყო, მორიგებით დაგვეთავებინა. თქვენ იცით თუ რა ნიადაგზე ვაპირებდით ჩვენ მორიგებას: ჩვენ დავიჭირეთ ისტორიული ჩვენი საზღვრები და წინ წასვლას არ ვაპირებდით, არავის თავს არ ვესხმოდით, მაგრამ, 23 მაისის დენიკინის წარმომადგენელთან მოლაპარაკებამ აშკარად დაგვიმტკიცა ჩვენ თუ რა ასულდგმულებდა გენერალ დენიკინს, თუ რა აინტერესებდა და რისკენ იყო მიპყრობილი მისი თვალები. ჩვენ უკვე აშკარად დავრწმუნდით მაშინ, რომ აქ საქმე გვაქვს არა სოჭის ოლქზე, არა საზღვარის საკითხებზე, არამედ დენიკინი ფიქრობს მოსპოს მუშათა რევოლიუცია, მოსპოს (კვლის: დამოუკიდებლობა), საქართველოს რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატია. [illegible] აინტერესებს თვით საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ის ხმალს მხოლოდ მაშინ ჩააგებს, როდესაც ის თავის შავბნელ ძალებს შემოუსევს საქართველოს რესპუბლიკას და აღაგმავს დედამიწის ზურგიდან ჩვენ დამოუკიდებელ რესპუბლიკას და ჩვენ ხალხს. თავისთავად ცხადია, რომ ამის შემდეგ მოლაპარაკებით საქმის დამთავრებაზე ლაპარაკი ზედმეტია თავიდანვე მოგახსენეთ, რომ ჩვენი მდგომარეობა, ძალთა განწყობილება გვაძლევს ჩვენ უფლებას ვთქვათ, რომ ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია შევხვდეთ იმ დაბრკოლებას, რომელიც ჩვენ წინმსვლელობის გზაზე გადაგვეღობა. რა მდგომარეობა არის ეს მდგომარეობა? თქვენ გახსოვთ, რომ ერთი წლის უკან, როდესაც ჩვენი ქვეყანა განსაცდელის წინ იდგა, როდესაც მას შემოესია ოსმალეთის ბრბოები, ის მაშინ დამარცხებული დარჩა მაგრამ დღეს ჩვენში მდგომარეობა შედარებით იმასთან თუ რა მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ ერთი წლის უკან, გაცილებით უკეთესია. ჩვენი დემოკრატია ბრძოლაში გამოიწვრთნა, ის დღეს უკვე უძლეველ გმირს წარმოადგენს. ჩვენი ხალხი დღეს უკვე შეგნებით იცავს თავის სახელმწიფოს და თავის რესპუბლიკას. თუ შარშან ჩვენ სამოქალაქო ომი შიგ გვქონდა, დღეს ზურგი გამაგრებული გვაქვს. თუ შარშან ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით კულტურულ კაცობრიობას და საერთაშორისო დემოკრატიას, დღეს უკვე ძაფი გვაქვს გაბმული კულტურულ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო დემოკრატიასთან. ის რაც დღეს აქ ხდება უკვე საქართველოს მთავრობამ აცნობა საერთაშორისო დემოკრატიას და მთელს განათლებულ კაცობრიობას, და ისმება საკითხი თუ საგა-

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა თავ.მი ქართვ. [illegible] მოქმედებას. დაცლილი ადგილის დაიკავებს; რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ოგავასაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც ...ტყობინება, რომ 26 მაისისათვის ზღვა... ჩასაშვებათ გაამზადეს ქართული სამ...ედრო გემი „ტარიელი“.

# ახალი ამბავი

### ქ უ თ ა ი ს ი.

**ქუთაისის პირველი გიმნაზია** წელს ...ასრულა სულ 53 მოწაფემ. მოგვყავს ...მათ სია:

1. ი. ანთაძე 2. ნიკ. ახვლედიანი 3. ...ს. ბაბუნაშვილი 4. ნიკ. ბახტაძე 5. ...ტ. ბაქრაძე 6. ივ. ბაკურაძე 7. ერ. ...რიძე 8. სე. ბექაია 9. კ. ბერძენიშვი...ლი 10. დ. ვაბუნია 11. შ. გველესიანი 12. დ. გეგუჩაძე 13. ნიკ. გვახარია 14. ...ლ. გოკიელი (ვერცხლის მენდალი) 15. ...ვარდოსანიძე 16. პ. ესებუა 17. ვენ. ...ლიგულაშვილი 18. გრ. კაპანაძე 19. ...რ. კაკუშაძე 20. ვს. კახნიშვილი 21. ...რ. კიკიანი 22. პ. კომეტიანი 23. მიხ. ...ოკოჩაშვილი 24. გ. ლორთქიფანიძე 25. ...რ. ლეკვეიშვილი 26. ლ. მამაგეიშვილი 27. გრ. მეგრელიშვილი 28. ვალ. მე...ლაძე 29. სტ. მეფისაშვილი 30. ნიკ. მეფისაშვილი 31. ვალ. მინდელი 32. ს. ...ოზაძე 33. აკ. ნიჟარაძე 34. ნიკ. ოც...ელი 35. ი. პაპავა (ოქროს მენდლით) 36. არ. სულუხია 37. დ. ესებუა 38. გ. ...აწებლიძე 39. გრ. სოხაძე 40. ვლ. ...ხაკაძე 41. მიხ. ურუშაძე 42. ნიკ. ურუშაძე 43. შ. ჩაჩიბაია 44. შ. ჩუბი...ნიძე 45. ან. ჩიქოვანი 46. ვალ. ჩხეიძე 47. ნიკ. შენგელია (ვერცხლის მენდლით) 48. ივ. ხარაზაშვილი 49. მიხ. ცაგა...რეიშვილი 50. ალ. ჯაყელი 51. ნიკ. ჯაყელი 52. ნიკ. ჯანელიძე 53. გრ. ...ჯოლია.

✦ **საქონლის მიღება.** ფოთში და ...ათომში მოსულა დიდძალი საქონელი, რომელიც დანიშნულია საქართველოს საჭიროებისათვის.

✦ **ყაჩაღი მორჩაძე.** ოთხშაბათს 28 მაისს წყალწითელაზე, ჩხეიძის წყაროს-თან სიმონეთში მიმავალ სამთო უბნის მილიციონერს პავლე სულამანიძეს და იქიდან მომავალ ჩხარის მილიციონერს. ვაშაძეს უეცრად შეხვდა თად. მორჩაძე. მილიციონერებმა ის ვერ იცნეს მორჩაძემ მათ მოთხოვა იარაღის აყრა. ვაშაძეს იარაღი არ აღმოჩნდა, ხოლო სულამანიძეს რევოლვერი და თოფი აართვა.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრი.** ალ. ჯაფარიძე იწვევს ყველა უბნის წარმომადგენლებს, ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში საშვალებების გამოსანახათ.

✦ ჩვენ გვთხოვენ შემდეგი გამოვაცხადოთ: დავკარგე ₰ ივნისს ჯარისკაცობისაგან განთავისუფლების მოწმობა და 500 მანეთი ფული. მნახველს ვსთხოვთ საბუთი გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: მესხეთის ქუჩა, მ. სანებლიძის სახლი ლადიკო სანებლიძეს.

✦ **რედაქციამ მიიღო** „თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის გამომცემლობის'' წიგნები: ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკიდან № 6 რუსეთის პოლიტიკა და იმერეთის მეფე სოლომონ მეორე ისტორიული მოგონება ნ. პეიშვილისა და № 7 სამშობლო სურათები მოგონებანი გურიის ცხოვრებიდან ტ. მამალაძისა. წიგნები კარგად არის გამოცემული პირველი შეიცავს 63 გვერდს, მეორე 80 გვერდს და თვითეული წიგნი ღირს 3 მანეთად და 10 შაურათ.

✦ **იგივე გამომცემლობამ დაბეჭდა** და ამ დღეებში გასაყიდად გამოვა: 1) პროფესორი ვულფიუსი ,,საშუალო ისტორიის'' სახელმძღვანელო, გადმოკეთებული ჯიხაიშის გიმნაზიის დირექტორის ს. ცაგერეიშვილის მიერ; 4 გოთუამაშვილი. ,,მებაღეობა'' მოკლე სახელმძღვანელო ხეხილთა გამრავლებისა და მოვლისა; 3) იბეჭდება და მალე გამოვა ს. გორგაძე, კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია ,,ჩვენი ახალი მწერლობა'' წიგნი მეორე, რომელშიაც შედის საუკეთესო ნაწარმოებნი აკაკი და გიორგი წერეთლისა და ალექ. ყაზბეგისა; ქრისტომატია იქნება დიდი ზომისა, შეიცავს ხუთასამდი გვერდს დიდი ფორმატისას.

# ქალაქში.

მე თეთრ ქუჩებში დავდგი ტრფობის ყვითელი ვაზა.
ვარდის მაგიერ ჩავდე მასში მარგალიტები,
მედგარ დარაჯად დაუყენე გიჟი ავაზა
და სევდა შავი დავამსხვრიე ვით კრამიტები...

მინდა ფეხებზე დავიბერტყო ჯრუ სოფლის მტვერი,
მშფოთავ ქალაქში მსურს ჩემ ძმებთან რომ დავისვენო,
(სინამდვილიდან მე გამოვსხლტი მას დავემტერე)
და აქ მოვკვდე და ჩემს ძმებთან აქ განვისვენო.

მიყვარს ქალაქი. მას უმღერის უზადო ქნარი, —
სადაც თვრებიან ჩემი ძმები ოპიუმის სმით,
მიყვარს ისინი... უძილობით, რომ ამთქნარებენ
და რომ მღერიან მხიარულათ შეფრობილი ხმით...

მეც მათთან მივალ. მივცემ სალამს, ვეამბორები,
დამეგობრების დავლევ ღვინოს... გავხდები ავათ...
მყრალ სოფლის ლანდებს გავექცევი მწვანე გორებით,
ვიბრძოლებ გმირი, ფერმკრთალ მტერთან დაუღალავათ.

გულს გაუგმირავ მწარე ტყვიით, ხმალს დავკრავ გვერდზე,
ცეცხლის სატევარს ავაწვერებ მტერთან ბრძოლაში,
დიდ გამარჯვებას დავიწერავ ბროლის ფერ მკერდზე..
და გამაქანებს მწველ მზისაკენ წითელი რაში.

ა. გაბესქირია.

✦ **დენიკინის წინააღმდეგ.** საქართველოს დემოკ. რესპუბლიკის მთავრობამ წინადადება მისცა აღერბეიჯანის და სომხეთის მთავრობებს დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველათ მოხდეს სამივე რესპუბლიკის შეთანხმება და არჩეული იქნეს სამხედრო კომისია. აღერბეიჯანის მთავრობამ ჩვენი მთავრობის წინადადება მიიღო, ხოლო სომხეთისამ პასუხისათვის ვადა ითხოვა. აღერბეიჯანის მთავრობა დათანხმდა აგრეთვე ჩვენი მთავრობის წინადადებაზე—ავსებული იქნეს საქართველოს რესპუბლიკაში არსებული ყველა აუზები ნავთითა და მაზუთით და აგრეთვე ზედმეტი ორთქმავლები გადმოყვანილი იქნეს ჩვენს საზღვრებში.

✦ **სამხედრო მასალის დაკავება.** საქართველოს მთავრობამ აუკრძალა ინგლისს საქართველოდან სამხედრო მასალის და იარაღების გატანა როგორც ვიცით ინგლისი ამ იარაღს დენიკინს აწვდიდა. საქართველოს რესპუბლიკის ბრანევიკები ჩხრეკენ ინგლისის ეშელონებს და ართმევენ ყველა იმ იარაღს, რომელიც წინეთ რუსეთს ეკუთვნოდა ამ დღეებში ჩამოართვეს რამდენიმე ვაგონი პატრონები, რომლებიც ინგლისელებმა ყარსიდან გამოიტანეს ინგლისის მისია ჩვენი მთავრობის ამ გადაწყვეტილებას სიჩუმით შეხვდა მისია ეხლა ირწმუნება, რომ ეს იარაღი მათ დენიკინისთვის არ უნდოდათ.

✦ **იტალიის მისიის თავმჯდომარის პარიზში გამგზავრება.** იტალიის მისიის თავმჯდომარე საჩქაროთ გაემგზავრა პარიზში. მას მიზნათ აქვს გააცნოს სამშვიდობო კონფერენციას ამიერ-კავკასიის მდგომარეობა და აგრეთვე ის პოლიტიკა რომელსაც აქაური ინგლისის მისია აწარმოებდა. მან თან წაიღო აგრეთვე საქართველოს მთავრობისა და დამ. კრების საპროტესტო წერილი, რომელშიაც ნათქვამია თუ როგორ უწყობენ მოკავშირეები ხელს რუსეთის რეაქციონერებს პატარა ერებისა და დემოკრატიის დასარბევათ.

...რეთ საქმეთა მინისტრი საფრანგეთის რესპუბლიკისა პიშონი უკანასკნელ თავის გამოსვლაში ამართლებდა თავის პოლიტიკას რუსეთის საკითხში, მით რომ დენიკინის ლაშქარი იბრძვის ბოლშევიზმის და ანარქიის წინააღმდეგ და ამით დიდ სამსახურს უწევს ცივილიზაციას და კულტუროსან ხალხებს, ჩვენ შეგვიძლიან დღეს შევეკითხოთ საგარეო საქმეთა მინისტრს პიშონს ვის ებრძვის ამ შემთხვევაში დენიკინი და კლემანსოს და ლოიდ ჯორჯის მიერ შეიარაღებული მისი არმია? თუ ბორელს პიშონი უპასუხებს, რომ დენიკინის შეიარაღებით მოკავშირენი აიარაღებენ, იმ ძალას, რომელმაც უნდა დაამხოს ბოლშევიზმი,—ჩვენ არ ვიცით რა პასუხს გასცემს ბორელს პიშონი როდესაც საზოგადოების აზრი გაეცნობა იმ დოკუმენტებს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკამ იქ წარგზავნა, როდესაც იქ გაიგებენ, რომ დღეს ლაშქარი დენიკინისა მიმართული არის არა ანარქიის წინააღმდეგ, არამედ ამიერ-კავკა. რესპუბ. წინააღმდეგ და საქართველოს ერის წინააღმდეგ, რომელიც იბრძვის თავისუფლებისთვის. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მთელი დემოკრატია სხვერთაშორისო, მთელი საზოგადოებრივი აზრი ევროპისა ჩვენ მხარეზე იქნენ და ის მხარს დაუჭერს საქართველოს რესპუბლიკას და ამიერ-კავკასიის ერებს, როდესაც ისინი თავისუფლებისთვის და თავის ხალხისთვის იბრძვიან. და აი ეს ძალა, რომელსაც ჩვენ სხვათა შორის შეგვიძლიან დავეყრდნოთ. მაგრამ, უმთავრესი ძალა, მოქალაქენო, თავისთავად ცხადია, ჩვენ თვით ჩვენში უნდა ვეძიოთ. ჩვენ სრულიად ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ საქართველოს ერი, საქართველოს ხალხს როგორც ერთი კაცი ისე იბრძოლებს საქართველოს რესპუბლიკის მტრის წინააღმდეგ. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ საქართველოს გლეხთა და მუშათა კლასი სასტიკად შეებრძოლება დენიკინს, ვინაიდან დენიკინს მოაქვს აქ ჩვენში შავი რეაქცია, სოციალისტური და პოლიტიკური რეაქცია, ვინაიდან დენიკინის შემოსვლა უქადის ჩვენ ქვეყანას აოხრებას, ვინაიდან დენიკინის შემოსვლა გვიქადის ჩვენ ერთიანად მოსპობას მთელ ჩვენ მონაპოვარის მთელი ჩვენი თავისუფლების. მაგრამ იმავე დროს, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართველი ერი, ქართველი ხალხი ამ შებრძოლებაში განმარტოვებული არ სდგას. ჩვენ უკვე გვაქვს უტყუარი საბუთი იმისა, რომ აღერბაიჯანის რესპუბლიკა ჩვენთან ერთად არის (ტაში. მიესალმებიან აღერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელს ჯაფაროვს) აღერბეიჯანის მთავრობამ ჩვენი ცნობებით უკვე წარგზავნა თავის საზღვარზე ჯარები, რომლნიც აღერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებს მედგრად დაიცავენ (ტაში).

ასე რომ მოქალაქენო, მე უნდა ვთქვა რომ საშიშროება დენიკინში და მის ლაშქარში კი არ არის, თქვენ ყველანი კარგად უწყით თუ რას წარმოადგენს ეს ლაშქარი, ის ბრბოები, რომელთაც არავითარი საერთო ლოზუნგი, არავითარი საერთო წმინდა საქმე არ აერთიანებს, არ ერთიანებს, არ ასულდგმულებს. თქვენ იცით, რომ ეს ბრბოები გარბის პირველ შემთხვევისათანავე თუ ის სასტიკ წინააღმდეგობას ხედავს თავის მსვლელობაში. საშიშროება მოქალაქენო თვით ჩვენშია. თუ ისტორია გამეორდა, ჩვენდა საუბედუროდ თუ კიდევ ექმნა ამიერ-კავკასიის ისტორიაში ადგილი იმ ფაქტს, როდესაც, სამწუხაროდ, ჰქონდა ადგილი 1 წლის უკან; თუ კიდევ ჩვენ-შორის დაიწყო ლაპარაკი ნეიტრალობაზე და იმაზე, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვებრძვით საერთო მტერს, აი, მოქალაქენო, აქ არის ხიფათი, აქ არის საშიშროება (მაჭავარიანი: ღალატი,) მაგრამ ჩვენ გვწამს, მოქაქენო, რომ მწარე გამოცდილება, რომელიც მოგვცა შარშანდელმა ისტორიამ, ჭკუას ასწავლის ყველას და თუ სიდიადე დღევანდელი მომენტისა ვერ შეიგნო პასუხისმგებელმა ჯგუფმა ზოგიერთ ამიერ-კავკასიის ხალხისა,—დეე ისტორიის წინაშე მათ აგონ პასუხი, დეე ქვეყანამ დაინახონ თუ ვინ არის ამ საერთო საქმის მოღალატე და ვინ არის ის, ვინც მოუწოდებს ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარულ ბრძოლისაკენ და საერთო საქმის გაკეთებისაკენ. ჩვენ მოქალაქენო, ჯერ კიდევ არ გვაქვს იმის საბუთები, რომ თქვენს წინაშე განვაცხადო, რომ ეს ერთიანობა ჩვენ შორის არ არის. ჩვენ მხოლოდ სამწუხაროდ დღევანდელ [illegible] გამოვთქვამთ და იმედი გვაქვს, რომ ეს ეჭვი არ გამართლდება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა განვაცხადო ამ თქვენს წინაშე, რომ თუ ამ ბრძოლაში საქართველო და აღერბეიჯანი მარტოდ დარჩენ, მაინც გამარჯვება ჩვენსკენ არის! (ტაში) რადგანაც ჩვენ ვიცავთ წმინდა საქმეს, რადგანაც ჩვენ ვემსახურებით დიად მიზანს, ჩვენ ვიცავთ თავისუფლებას პატარა ერებისა, ჩვენ ვემსახურებით კულტურულ მიზნებს თუ ყველა ჩვენგანი გაიმსჭვალება ამ აზრით, თუ ყველა ჩვენგანი შესძლებს თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიადი საქმის სამსახურში, ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ გამარჯვება ამ უკანასკნელ შებრძოლებაში ჩვენ კარებზე იქნება. ამნაირად, მოქალაქენო, მე მინდა ჩემი მოკლე განცხადება დავამთავრო შემდეგით: თქვენ ხედავთ რომ მომენტი მართლადაც ფრიად საპასუხისმგებლოა, თქვენ ხედავთ, რომ რუსეთის რეაქცია ცდილობს ლახვარი ჩასცეს ამ უკანასკნელ ოაზისს თავისუფლებისას ამიერ-კავკასიას და კერძოთ საქართველოს. თქვენ ხედავთ, რომ ამ შემთხვევაში განსაცდელი, რომელიც დღეს ჩვენს წინაშე სდგას თითქმის ბევრად უარესია იმ განსაცდელისა, რომელიც ჩვენ ერთი წლის უკან გამოვიარეთ. თქვენ იცით რომ დენიკინის აქ შემოსვლა ეს იქნებოდა მთელი ჩვენი ერის ფიზიკურად განადგურება (ხმა: მართალია) თქვენ იცით, რომ დენიკინი აქ შემოდის არა როგორც დამპყრობელი ძალა, არამედ როგორც შურის მძიებელი და ის სასტიკი შურს იძიებს. მაგრამ, თუ კი ჩვენი ხალხი რაშიაც ჩვენ ეჭვი არ გვაქვს სხვა ერებთან ერთად შემოკრებს თავის ძალას თავის ნაცადი დროშისირგვლივ, —ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დენიკინი და მისი ლაშქარი ამიერ-კავკასიის საზღვრებს ვერ იხილავს და საქართველოს რესპუბლიკა მაღლაააფრიალებს თავისუფლების და თავის სახელმწიფოებრივ დროშას (ხანგრძლივი ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აქციონერული საზოგადოება „საქართველო".

ვაჭართა ბიურომ დაასახელა რამოდენიმე პირები საორგანიზაციო კომიტეტში, რომელიც მიუძღვება აქციონერულ საზოგადოების „საქართველოს" დაარსების საქმეს ქუთაისში. კომიტეტში შედიან: ტიტე მარგველაშვილი, ივ. პურადაშვილი, პ. უზნაძე, ნესტორ ბარაბაძე, ნიკ. ჯანელიძე, მიხეილ ჭავჭანიძე, არონ ელიგულაშვილი, მიხ. მოშიაშვილი, ალექ. ლოლონტი, მიტრ. ლალიძე, მიტრ. რუხაძე, ვასილ ტყეშელაშვილი, ტროფ. ჯაფარიძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ა. ფ. ციციაშვილი, პ. მოსიძე, ი. კ. იაკობიშვილი, ბინ. რიჟინაშვილი. ტიტე მარგველაშვილს დაევალა მთელს საქართველოში საორგანიზაციო კომიტეტების დაარსება და მათი ხელმძღვანელობა. კომიტეტები დაარსდება ვაჭრებისაგან ყველა თვალსაჩინო პუნქტებში. ამ საქმისათვის ბ. ტ. მარგველაშვილი დღეს გაემგზავრა თფილისში, იქიდან წავა გორში, თელავ სიღნაღში, ფოთში და სხ. ნიკიფორე მ. ჯანელიძე ერთხმათ იქნა არჩეული საზოგადოების კასირათ, აგრეთვე ბ. მიხეილ ჭავჭანიძე და ხაიმ იაკობიშვილი. აქციათა რიცხვი განსაზღვრულია და ვადა, რომლის განმავლობაში შეეძლება მსურველს აქციის შეძენა საორგანიზაციო კომიტეტმა შეამოკლა. აქციებზე ხელის მოწერა გაიმართება სულ მოკლე ხანში. მსურველნი უკვე ჩაეწერნენ პ. უზნაძესთან. აქციები გაიყიდება შემდეგ წინასწარ ჩაწერილებზედ.

განსაკუთრებულის აღფრთოვანებით ეკიდება საქმეს უფრო შეგნებული ვაჭრები, რომელნიც დარწმუნებული არიან, რომ საზოგადოება პირველსავე წელს დიდ დივიდენდებს მისცემს აქციონერებს, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც საქონელზე მოგება ას პროცენტს აღემატება.

## დეპეშები.

საქ. დეპ. სააგენტო.

**მოსკოვი.** ივნისის 1. ც. კ. ა. ბ. ბ ბიულეტენი:

**ხერსონი,** მაისის 30. ქალაქში მყოფ ბრბოებს წინადადება მისცეს დანებებულიყვნენ. უარის გაცხადების შემდეგ საბჭოთა ჯარი მათ შეებრძოლა. ხერსონი წითელმა ჯარმა დაიჭირა.

**კიევი,** მაისის 31. უკრაინის ჯარის სამხედრო ცნობა. ბესარაბის ფრონტზე მოწინააღმდეგის ჯარის, განსაკუთრებით ფრანგების, ჩვენ მხარეზე გადმოსვლა გახშირდა. ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ჯარმა როდომისლი დაიჭირა. მოწინააღმდეგის მხარეზე 15 მოკლულია, ქალაქში სოკოლოვსკის ბრბოებმა დარბევა მოახდინეს.

**ნიკოლაევი.** მაისის 29. ნიკოლაევი გრიგორიევის ჯარის ხელში მხოლოდ რამდენიმე დღე იყო. ოდესიდან გამოგზავნილმა ჯარმა, გრიგორიევის ჯარი, რომელიც ჩვეულებრივად მცხოვრებთ არბევდათ, ნიკოლაევიდან განდევნა ხერსონის მიმართულებით. სოფ. კოზლოვსკში, ნიკოლაევის ახლოს, გრიგორიევთან ბრძოლის დროს უკრაინის მთავრობის რწმუნებული და მის თანამგზავრი 15 კაცი დაიღუპა. საბჭოთა ჯარის სულიერი განწყობილება კარგია. საბჭოთა ძალა-უფლება ყველგან აღდგენილია.

**ოდესა.** მაისის 30. წითელი ჯარის დღესასწაულმა ბრწყინვალეთ ჩაიარა. წითელი ჯარისკაცებმა ათი ათასობით მწყობრათ გაიარეს ქუჩებში, წეს რიგი საუცხოვო იყო. რაკოვსკი მოსკოვში გაემგზავრა. მის მოადგილეთ პეტროვსკი დაინიშნა.

**მოსკოვი.** მაისის 31. საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა რასკოლნიკოვი, იგი ლონდონის მუშების სულიერ მდგომარეობას გაეცნო. მასის სულიერი განწყობილება რევოლიუციონურია. მღელვარება და გაფიცვები არ სწყდება. მუშების უკმაყოფილების ერთი მიზეზთა პირველ საჭიროების საგნების გაძვირება. ხელფასი არ უთანასწორდება სიძვირის ზრდას. შეიქნა უმუშევრობა, ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც თავდაცვისთვის მუშაობდენ, იხურება დიდი დროა საჭირო იმისთვის, რომ მრეწველობა ომამდი ყოფილ დონეზე დადგეს. მთავრობა ცდილობს, რომ უთანხმოებანი ნახევარ ზომებით ჩახქროს: იმპერიალისტები და კაპიტალისტები თავის პრინციპებს სთმობენ.

## კიდევ აფიცერთა შესახებ.

ყველაფერი შეიცვალა, ყოველივე აირდაირია; თანამედროვე ადამიანს გზა და კვალი აბნევია, არა უწყის თუ რა ბედი მოელის, საით მიყავს ქარტეხილს საშინელებისას. დღეს ადამიანი ვერ არკვევს თავის თავს. ყოველივე რაღაც არა ნორმალურ ფარგალშია. მაგრამ რას იზამ, ბევრმა გამოსცადა დღევანდელი ცხოვრების საშინელება, მაგრამ ისე არ დატანჯულა და არ დაბეჩავებულა მოქალაქე, როგორც აფიცრობა.

მას შემდეგ რაც საქართველოში თავისუფლება გამოცხადდა, ყოველი შეგნებული მოქალაქე აღტაცებაში იყო მით, რომ სამშობლოს განთავისუფლებას ელოდა რისთვისაც სულითა და გულით, მიისწრაფოდა 117 წლის განმავლობაში. ყოველმა მოქალაქემ ხმა აღიმაღლა ყოველი მოქალაქე საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი რესპუბლიკანელია, ხოლო საუბედუროთ ჩვენდა ამეებს სრულებით მოკლებულია აფიცრობა. მას არა აქვს არავითარი პატივისცემა, არა აქვს არავითარი ხმა და ყოველგვარს მოქალაქობრივ ვითარებას მოკლებულია. მიკვირს და ვერ მივმხვდარვარ, თუ რისთვის არის ასეთი უსამართლობამ აფიცერთა მიმართ? ვისაც ადამიანური მოსაზრება აქვს, მან და ჭეშმარიტებით უნდა აღიაროს რომ უაფიცროთ, ვერც ახალციხე და ვერც არტაანი ვერ აიღებოდა.

მაგრამ ვინაიდან სათავეში იდგენ ისეთი მამულიშვილები, შეუდრეკელი მეომრები, როგორც გენერლები, კვინიტაძე ართმელაძე, ფურცელაძე, პოლკოვნიკი ვაჩნაძე, ცაგარეიშვილი და სხვები, ვინაიდან აფიცერთა და ჯარისკაცთა შორის არ ყოფილა არავითარი შურიანობა და სიძულვილი ვინაიდან შეგნებული აფიცრობა და ჯარის კაცობა ნათლად ხედავდა, რომ თუ არ დაიცავდა სამშობლოს ინტერესებს, აუცილებლად მტერი შემოიჭრებოდა ჩვენს მრავალ ტანჯულ სამშობლოში და ძველებურად ნაცარტუტას ადენდა. რომელი თავ-სუფალი ქვეყნის, თავისუფალი ჯარი აგივიდოდა ისეთ თვალუწვდენელ უღელტეხილზე, როგორიც არის ხაწორის უღელტეხილი ეს ისეთი ძნელი ასასვლელია, რომ სანამ ახვიდოდე მგონი დაბინდდება მაგრამ ჩვენმა ჯარმა ეს შესძლო იმ დროს, როცა ბევრს ჯარის კაცთაგანს, ფეხზედაც არ ეცვათ რაიმე და ხანიორის უღელტეხილზე ფეხშიშველი თამამად ადიოდა მაღლა და უძლებდა ყოველს გასაჭირს, ვინაიდან ჯარის კაცთ გულში ჩანერგული ჰქონდათ, რომ თუ ზემოხსენებულს უღელტეხილს გადასცილდებოდა ჯარი, მოკლე ხნის შემდეგ არტაანიც და არტაანის მიდამოებიც ხელში ჩაუვარდებოდა საქართველოს რესპუბლიკას, გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ვინაიდან, ახალციხისა და არტაანის მიდამოების აღების დროს, არავითარი პარტიობა არ ყოფილა, და მიტომაც სახელოვნად ჩავიდა ჩვენი ჯარი ზემოხსენებულ მიდამოებში.

წინედ ბათუმში მიტომ დაეცა რომ პარტიები ერთმანეთს წეწავდენ და გლეჯავდენ. ჯარი გვარდიას ექიშპებოდა, გვარდია ჯარს ქუჩური სიტყვებით ლანძღავდა რასაკვირველია ასეთ დროს, ბათომი რომ დაეცა გასაკვირი არ არის. ბათუმის დაცემამ ნათლად დაგვანახა რომ ჯარში არავითარი პოლიტიკა არ უნდა სუფევდეს ჯარი მით უნდა იყოს გამსჭვალული რომ ის დაყენებული ქვეყნის დასაცავად, აფიცრობა, თუ ჯარის კაცობა უნდა ამაყობდეს მით, რომ ისინი ერთადერთი მხნელია სამშობლოსი.

დღეს კი რას ვხედავთ: თავდადებული აფიცრობა შესაფერად ასრულებს თავის დანიშნულობას, სამშობლოსა და თავისუფლების, წინაშე, მაგრამ ვაჰ! მთავრობას როცა მოეხსენიება ოფიცერთ „ზაპასში", უშვებს როდესაც უნდა მორეკავს, თუ მოეხსენიათ გასახარებით აძლევს მათ თვეში 500 მანეთს; აბა ერთი მიბრძანეთ, რას ყოფნის ახლანდელ „კურთხეულ" დროში, ადამიანს 500 მანეთი?

ბევრი მოქალაქის მდგომარეობა გაუმჯობესდა თვეში მაგალითად ღებულობს 1500—2000 მანეთამდე. ეს ერთი თუ მუშის გაშვება სურს „ხაზეინს" სხვა მუშების დაუკითხავად მას არ ძალუძს მუშის გაშვება და თუ გაუშვა, უნდა მისცეს 3—4 თვის ჯამაგირი მომავალი თვეების ეს მეორე დღემდე ნიკოლოზ მეორის მოხელეებს და მოთაყვანეთ სდევნიდენ და „შპალერივით" აკრავდენ. დღეს კი სანთლით დაეძებენ მათ; ვინც ყოფილა „პრისტავებად", „აკოლოდჩიკებად", „გოროდოვოებად", მოდით მოგვეხმარეთ, ეს ახალგაზრდები, ბევრი გამოუცდელი გამოგვადგებ, მობრძანდით, კომისრად და მოხელეებათ დაგნიშნავთო. ეს მესამე საბრალო აფიცერთ, ახირებულად არსად ღებულობენ, და თუ მიიღებენ იმასაც კიდევ დიდის პროტექციით მაგრამ რა, ისევ მალე გამოაპრძანებენ, ვინაიდან „არიქა მტერი შემოგვესია, ქვეყანას შველა უნდა, შენ აფიცერი ხარ, სამშობლო დაიცავიო. ეს მეორე და სხვანი და სხვანი. რასაკვირველია აფიცრობაში ურევია ჩირქის მომცემი ელემენტები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოთ აფიცრობა არაფრად არ ვარგა, გამოუსადეგარ ელემენტებად მიიჩნიო. დროა აფიცერთა საქმე ღირსშესაფერად მოწესრიგდეს; პირნათლად ლაპარაკი ყოველთვის მარგებელია.

**სორტელი.**

## წერილები რედ. მიმართ.

**ამხ. რედაქტორო!** თქვენი გაზ. ფურცლებზე მაისის 4-ს 21 78-ში მოთავსებული იყო კაიგრაკხის წერილი სოფ. ქვაციხის ფერშლის შესახებ. ბ-ნ კაი-გრაკხის საკამათოთ არ მცალია და ვსთხოვ ბ-ნ კაი-გრააძეს გამომყვეს სამედიატორო სამართალში და დამიმტკიცოს მისგან წამოყენებული ბრალდებები: თუ რა დამიღგინა სოფელმა მისვლის ქირა? როდის იყო რომ ერთი მოსახლიდან არ გადავყევი მეორე ოჯახის ავადმყოფების ჭირისუფლებს და როდის იყო რომ ჩემის უარის თქმით მოკვდა ავადმყოფი? საქმე აუცილებლათ გაირჩეს ადგილობრივ სოფ. ქვაციხეში და მტყუანმა მხარემ ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ გადიხადოს 100 მან. ჩემის მხრივ მედიატორებათ ვასახელებ, ვალიკო ჩუბინიძეს და მოსია ჩუბინიძეს. დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა ვსთხოვ ბ-ნ კაი-გრაკხს ორი კვირის განმავლობაში დაასახელოს თავის მხრივ მედიატორები და დრო. მაშინ გაიგებს საზოგადოება თუ ვის ემსახურება კაი-გრაკხი კულტურულ განვითარებულ მედიცინას თუ ხალხის მატყუარა მკვლელფელ მკითხავებს.

ქვაციხის პუნქტის უფ. ფერშალი
**ლ. გოცაძე.**

—

**ამხ. რედაქტორო!** გთხოვთ დაბეჭდოთ ქვემო მოყვანილი წერილი თქვენი პატივცემული გაზეთის „ჩვენი ქვეყნის" უახლოეს №-ში.

გაზეთ „ერთობის" 86 №-ში მოთავსებულია წერილი ხონიდან, რომელ... ხელს აწერს ... ენება ხონის ლოთურ ცხოვრებას და ... საკუთრებულ ... ლობრივ სასამართლოს, სადაც მომრ... ბელ მოსამართლედ ეხლა მოწვეულ... კ. ქუთათელაძე. ავტორი წერილისა ... ბობს, რომ სასამართლოში ბევრი ... როტმოქმედება ხდება, მას გარს ახვ... „აბლაკატები", (ერთობის წერილი... რომელთა პიროვნება საკმაოთ გამოკ... ულია როგორც ძველი მიმართულებისა ხალხის მყვლეფავებისა. ურჩევს ქუთათ... ლაძეს, რომ ეს არა სასურველი პირ... მოიშოროს თავიდან თუ უნდა განწმ... დილ და განახლებულ იქნას სასამართლ... ეს წერილი მით არის საინტერესო რ... არც ერთი „აბლაკატის" სახელი ... გვარი არ მოყავს. წერილში ასე რ... ბატონი „ა—ი" ლაფში სვრის ვი... ბნელ პირებს, რომელთაც თვით იცნ... და საზოგადოებისათვის მათი ვინაობ... გამოაშკარავებას კი ერიდება; ამ წერილ... სამართლიანი გულისწყრომა გამოიწ... ყველა იმ პირებში, ვისაც სასამართლო...თან რაიმე კავშირი აქვს.

მათ არ იციან, ვინ არის მათ შო... ასეთი არასასურველი პიროვნება და ს... ზოგადოების თვალში კი ყველას ჩირ... მოეცხო. ამ წერილის ავტორიც ერთ... დაინტერესებული პირთაგანია და საჭ... როთ მიმაჩნია, რომ მოვთხოვო ბ-ნ „ა-ი"... ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ... წერილის დაბეჭდვის იმავე „ერთობის" ფურცლებზე გამოაშკარაოს ამ „აბლაკ... ტების" ვინაობა, ამას მოითხოვს საზო... გადოების განწმენდა მავნე პირებისაგან და არა მგონია რომ ბ-ნი ა—ი უარ... იტყვის ამაზე. და თუ ბ-ნი ა—ი ა... მოგვცემს პასუხს, მაშინ ჩვენ გვეც... დინება, რომ ბ-ნ ა—ის სასამართლოსთ... რომელიმე დაახლოვებულ პირთან კერძ... უკმაყოფილება აქვს და ამიტომ ამოსვარ... ტალახში ყველა. სახელი და გვარი ... არ დაასახელა, რადგან მას ამის საკმა... საბუთი არ აქვს და მოერიდა პასუხის... გებაში მიცემას. მაშინ ჩვენ გვეცოდინე... ბა რა პატიოსან „კორესპონდენტთანაც" გვქონია საქმე და ანგარიშს არ გაუწევ... ყოველ მჯღაბნელს.

წ—ი

## ღია წერილი.

ბ. მ. სიმონ, დომენტი და პავლე უგრეხელიძეებს.

ჩვენი გაზეთის შარშანწინდელ ერთ... ერთ ნომერში მოთავსებული იყო კო... რესპოდენცია ოკრიბიდან, რომელშიდაც ღრმა მადლობას უცხადებდენ, საზოგადოების სახელით, ბ.ბ. სიმონ, დომენტ... და პავლე უგრეხელიძეებს, იმ შეწირულებისათვის, რომელიც მათ აღუთქვეს ახლათ დაარსებულ ს. ციხია—ბობოთის შკოლას.

აღთქმულ შემოწირულების რაოდენობა არ ყოფილა მაინც-და-მაინც დიდი, მაგრამ არც ისე მცირე იყო, რომ სრულიად უყურადღებოთ დავტოვოთ და პირობის შეუსრულებლობა და უკვე გამოცხადებული მადლობა ასე უხმოთ შევაწიოთ ამ სამ ქველმოქმედს. უგრეხელიძეებისაგან შეწირული ფული უნდა გადაცემოდა ზემოხსენებულ შკოლის გამგეობას ერთი თვის განმავლობაში აღთქმის დღიდან, მაგრამ აგერ ორი წელიწადი გავიდა და ფული არსად სჩანს. ასე რომ ცოტა შევაგვიანდათ შემომწირველთ პირობის ასრულება. მაგრამ შეგვიანებას ვიდა ჩიოდა, რომ სულ არ დავიწყებოდათ ჩვენი შკოლაც და მათი 500 მანეთიც ჩვენ ერთხელ კიდევ მოვაგონებთ ზემოჩამოთვლილ პირებს რომ თავიანთი დანაპირები ასრულონ.

**დ.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

წიგნთსაბეჭდავი „შრომა" პუშკინის 1-ზე [illegible]